# სკოლამდელი განათლების დარგობრივი მახასიათებელი

უმაღლესი განათლების I საფეხური

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI დონე

2020 წელი

## უმაღლესი განათლების პირველი საფეხური

## I. შესავალი

უმაღლესი განათლების პირველი საფეხური - **ბაკალავრიატი**, სწავლის სფერო - „სკოლამდელი განათლება“ (კოდი0112.1.1).

წინამდებარე დოკუმენტი განსაზღვრავს სკოლამდელი განათლების (დაბადებიდან 8 წლამდე) ბაკალავრის მოსამზადებელი საგანმანათლებლო პროგრამების შესწავლით მისაღწევ მინიმალურ კომპეტენციებს.

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია ხელი შეუწყოს ეროვნული საჭიროებებისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი განათლების სფეროში უმაღლესი განათლების პროგრამების შემუშავებას, სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდოლოგიის დანერგვას, კვალიფიკაციის მფლობელთა კვალიფიკაციის საერთაშორისო დონეზე აღიარებას, მობილობასა და ისეთი კომპეტენციების ჩამოყალიბებას, რომელთა საფუძველზე კვალიფიკაციის მფლობელი შეძლებს სწავლის გაგრძელებას უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე, პროფესიულ განვითარებას, შრომის ბაზარზე შესვლას და კარიერულ წინსვლას.

დოკუმენტი ხელს შეუწყობს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისი კომპეტენციების მქონე სკოლამდელი განათლების სპეციალისტის მომზადებას, რომელსაც გაცნობიერებული აქვს პროფესიის და შესასრულებელი ვალდებულებების სპეციფიკა, გააჩნია პროფესიული საქმიანობისთვის აუცილებელი თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები, შეუძლია ადრეული ასაკის ბავშვებთან განათლების და ინტერვენციის სფეროში პროფესიული ვალდებულებების და პასუხისმგებლობების შესრულება, ბავშვის ჰოლისტურ განვითარებაზე ზრუნვა, ბავშვზე ორიენტირებული მიდგომების გამოყენება, სიტუაციის/ინფორმაციის/მონაცემების შეფასება-ანალიზი შესაბამისი მეთოდების გამოყენებით და კომპეტენციის ფარგლებში სწორი გადაწყვეტილებების მიღება; დარგობრივი ტერმინოლოგიის სწორი გამოყენებით წერითი და ზეპირი კომუნიკაცია, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და კომპიუტერული პროგრამების გამოყენება, პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა და სხვა.

სკოლამდელი განათლების დარგობრივი მახასიათებლების მოქმედების ვადაა 6 წელი. დოკუმენტში აღწერილია სწავლის სფერო, სწავლის შედეგები, სწავლის, სწავლებისა და შეფასებისადმი მიდგომები.

სკოლამდელი განათლების დარგობრივი მახასიათებლების შემუშავების საფუძველია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 11 ივნისის №476/ი ბრძანება “უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების, განახლებისა და დამტკიცების, დარგობრივი საბჭოების, დარგობრივი სამუშაო ჯგუფების შექმნისა და საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ”.

2011წლიდან საქართველოში არსებულმა უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა შეწყვიტეს სკოლამდელი განათლების საბაკალავრო პროგრამების განხორციელება, რადგან 2010 წელს დამტკიცებული ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით (ბრძანება 120/ნ), სკოლამდელი განათლების სფეროსთან დაკავშირებით განსაზღვრული იყო მხოლოდ პროფესიული სპეციალიზაცია „აღმზრდელი (ბაგა-ბაღი)". ამ გარემოების გათვალისწინებით დარგობრივი მახასიათებლის არსებობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ სფეროში, რაც უზრუნველყოფს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი განათლების უმაღლესი განათლების პროგრამების შემუშავებას.

ამ კონტექსტში, წარმოდგენილი დოკუმენტი ემსახურება საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ დამოუკიდებლად გამოსაყენებელ სამიზნე ნიშნულების ინსტრუმენტს და ასახავს თუ რას მოელის დარგი კვალიფიკაციის მფლობელებისგან, რა უნდა იცოდნენ, რას უნდა აცნობიერებდნენ და რა უნარები უნდა ჰქონდეთ მათ. გარდა ამისა, დოკუმენტი აკადემიური საზოგადოებისათვის ქმნის მყარ ფუნდამენტს სწავლების პროცესის სრულყოფისათვის, აღწერს სწავლების ბუნებას და კვალიფიკაციის მფლობელთა აკადემიურ სტანდარტებს კონკრეტულ სფეროში და კონკრეტულ კვალიფიკაციებთან მიმართებაში.

## II. სწავლის სფეროს აღწერა

სკოლამდელი განათლება მოიცავს ადრეული ასაკის (0-დან 8 წლამდე) ბავშვის განათლებისა და განვითარების შესახებ მეცნიერულ ცოდნასა და პროფესიულ პრაქტიკას, რომელიც ადამიანის ცხოვრების ყველაზე სენსიტიურ და კრიტიკულ პერიოდს უკავშირდება. ეს არის ინტენსიური ზრდისა და განვითარების ეტაპი, რომლისთვისაც ხარისხიანი განათლება და განვითარების ხელშემწყობი გარემო განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ ბავშვის აწმყოსა და მომავლის, ხოლო მეორე მხრივ, სახელმწიფოს კეთილდღეობისათვის.

დარგი ინტერდისციპლინურია განათლების, ფსიქოლოგიის, სოციოლოგიის, პოლიტიკის, ჯანმრთელობის სფეროში დაგროვილი ცოდნითა და გამოცდილებით, რასაც ეფუძნება ადრეულ ასაკში ხარისხიანი განათლება და ბავშვის ყოველმხრივი განვითარების ხელშეწყობა. ამ პროცესში თავად ბავშვი თავისი განვითარების განმსაზღვრელია, მდიდარი, მრავალფეროვანი პოტენციალით, პროაქტიული მოქმედებებით და შემოქმედებითობით; მასზე გავლენას ახდენს ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური, სოციალური და კულტურული ფაქტორების ურთიერთდამოკიდებულება და უფროსის, საზოგადოების და სახელმწიფოს კონტექსტი.

საგანმანათლებლო პროგრამები უნდა ითვალისწინებდეს განათლებისა და განვითარების ჰოლისტურ, მთლიანობით ბუნებას და აერთიანებდეს ბავშვის განვითარების ყველა ასპექტს, სკოლამდელიგანათლებისდა ადრეულიინტერვენციისპროგრამებისმრავალმხრივობას, ოჯახის როლს, სხვადასხვა ფაქტორების გავლენას ადრეულ ასაკში სწავლასა და განვითარებაზე, მათ შორის გარემოში არსებულ რისკებს და საკანონმდებლო აქტებს, რომელიც ბავშვის დაცვას და მასზე ზრუნვას უზრუნველყოფს.

სკოლამდელი განათლების სფერო მუდმივად განვითარებადი დარგია, შესაბამისად, პროგრამები უნდა პასუხობდეს დარგის პრაქტიკული, აკადემიური და პროფესიული განვითარების ცვალებად ტენდენციებს და თანამედროვე გამოწვევებს.

## III. სწავლის შედეგები[1]

**დარგობრივი მახასიათებელი აღწერს სწავლის მინიმალურ შედეგებს, რომლებიც სტუდენტს სკოლამდელი განათლების ბაკალავრიატის საფეხურზე სწავლის დასრულებისას მოეთხოვება.**

**ცოდნა და გააზრება**

1. იცის ადრეულ ასაკში (დაბადებიდან 8 წლამდე) ბავშვის განვითარების მახასიათებლები, შესაბამისი თეორიები და იაზრებს ბავშვის ადრეულ განვითარებას ჰოლისტური პერსპექტივიდან;

2. იცის ადრეული ასაკის ბავშვთა სწავლა-სწავლების სხვადასხვა სტრატეგია და იაზრებს თამაშის ცენტრალურ მნიშვნელობას და ამ პროცესში ბავშვის აქტიურ როლს;

3. იცის ბავშვებთან კომუნიკაციისა და მათი მონაწილეობის ხელშეწყობის სტრატეგიები; აცნობიერებს და იზიარებს საბავშვო ბაღის და თემის სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში ბავშვების მონაწილეობის მნიშვნელობას;

4. იცის სოციალური მრავალფეროვნების კონტექსტში მუშაობა და იაზრებს დემოკრატიული და ინკლუზიური მიდგომების პრინციპებსა და მნიშვნელობას;

5. იცის მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და ადგილობრივ თემთან თანამშრომლობის პრინციპები და სტრატეგიები; იაზრებს მშობლების როლსა და მნიშვნელობას ბავშვის განვითარების პროცესში;

6. იცის გუნდური მუშაობა და აცნობიერებს დემოკრატიული და კრიტიკულად რეფლექსიური მიდგომის მნიშვნელობას სამუშაო პროცესში;

7. იცნობს სკოლამდელ განათლებაში არსებულ სიტუაციას ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო კონტექსტში; აცნობიერებს ბავშვის უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომას,

[1]დარგობრივი მახასიათებელი - შუალედური დოკუმენტი, რომელიც ეროვნული კვლაიფიკაციების ჩარჩოს საგანმანათლებლო პროგრამასთან აკავშირებს და რომლის მიზანია საგანმანათლებლო პროგრამების მრავალფეროვნებისადა მოქნილობის უზრუნველყოფა. ის აღწერს სწავლის მინიმალურ შედეგებს, რომლებსაც შესაბამისი დონისა და სწავლის სფეროს/დარგის კვალიფიკაციის მფლობელმა უნდა მიაღწიოს. საგანმანათლებლო პროგრამაში სწავლის შედეგები უნდა ეყრდნობოდეს დარგობრივ მახასიათებელში ჩამოთვლილ სწავლის შედეგებს, თუმცა მათი ფორმულირება შეიძლება იყოს განსხვავებული.

რომელიც ხელს უწყობს ბავშვებისა და ოჯახების აქტიურ მონაწილეობას, სოლიდარობასა და სიცოცხლის მანძილზე სწავლას;

8. იცის მშობლიური და ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების მეთოდები და მულტილინგვური განათლების მოდელები (აღიარებს მშობლიური ენის გამოყენებას და მეორე ენის ათვიების ხელშეწყობას);

9. იცის ადრეული ასაკის ბავშვზე ზრუნვა, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის საფუძვლები.

**უნარები**

10. შეუძლია სენსიტიური, გულისხმიერი (რესპონსული),თანმიმდევრული და მდგრადი პედაგოგიური ურთიერთობების დამყარება ბავშვებთან;

11. შეუძლია ბავშვზე დაკვირვება, პროგრესის შეფასება,ბავშვის პროგრესის სისტემატურად დოკუმენტირება საგანმანათლებლო პრაქტიკის მუდმივად განახლების მიზნით;

12. შეუძლია ბავშვების საჭიროებების, ინტერესებისა და შესაძლებლობების შესაბამისად ჰოლისტურ განვითარებაზე მიმართული მრავალფეროვანი სტრატეგიების და აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება, მრავალფეროვანი თამაშის ხელშეწყობა, ინტეგრირებული კურიკულუმის დანერგვა, ეფექტური სასწავლო გარემოს შექმნა და ორგანიზება; შეუძლია ბავშვების ინდივიდუალური ინიციატივის და ბავშვების მიერ სხვადასხვა ფორმით თვითგამოხატვის წახალისება;

13. აყალიბებს პედაგოგიურ ხედვასა და მიდგომებს, რომლებიც განამტკიცებს ინკლუზიურ პრაქტიკას საბავშვო ბაღებში; შეუძლია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების იდენტიფიცირება, მათი ინკლუზიისთვის შესაბამისი სტრატეგიების გამოყენება/მოდიფიცირება და ინდივიდუალიზებული მხარდაჭერა;

14. შეუძლია მრავალფეროვან სოციო-კულტურულ გარემოში მუშაობა, სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობა, ადგილობრივი და მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის მისაწვდომობის უზრუნველყოფა ბავშვებისათვის, მათი კულტურულ და სათემო პროექტებში ჩართვითა და თვითგამოხატვის წახალისებით;

15. შეუძლია ადგილობრივი თემის საჭიროებების ანალიზი ბავშვების ადრეული განათლებისა და განვითარების საკითხებთან დაკავშირებით, მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და მოწყვლად ჯგუფებთან ეფექტურად მუშაობისათვის;

16. შეუძლია მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან პატივისცემაზე, ნდობასა და თანამშრომლობაზე დაფუძნებული ურთიერთობების ჩამოყალიბება, ღია კომუნიკაცია და ორმხრივი დიალოგი, მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში და მათი მოსაზრებების გათვალისწინება.

17. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებს ბავშვზე ზრუნვის, უსაფრთხოების, ჰიგიენასა და კვებასთან დაკავშირებულ საჭიროებებს.

**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა**

18. შეუძლია ზედამხედველობის გარეშე მუშაობა, საგანმანათლებლო პროცესის ეფექტური დაგეგმვა და განხორციელება; გარემოებების, ბავშვის ინტერესებისა და საჭიროებების ცვლილების შესაბამისად რეაგირება, დასახული სტრატეგიებისა და გეგმების ცვლილება/მორგება; შეუძლია გაუთვალისწინებელ და არაპროგნოზირებად სიტუაციებთან გამკლავება, ინოვაციურობა და შემოქმედებითობა;

19. უწყვეტად განიხილავს და აფასებს საკუთარ და სხვის პრაქტიკას ინდივიდუალურად და ერთობლივად; შეუძლია გამოცდილების გაზიარება კოლეგებთან; შეუძლია დისკუსიებში მონაწილეობა და სწავლა აზრთა სხვადასხვაობის კონტექსტში; შეუძლია ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე არგუმენტირებული დისკუსია და კრიტიკა.

20. იაზრებს კვლევის მნიშვნელობას პრაქტიკის სრულყოფაში. შეუძლია ადრეული განათლების მიმართულებით სხვადასხვა წყაროებიდან ინფორმაციის მოძიება, ინტეგრირება, დამოუკიდებლად და/ან კოლეგებთან თანამშრომლობით პრაქტიკის კვლევის დაგეგმვა, განხორციელება, კვლევისა და პრაქტიკის თანხვედრის ანალიზი.

21. შეუძლია სკოლამდელი განათლების სფეროში მოღვაწე სხვადასხვა სპეციალისტთან პროფესიული კავშირების დამყარება, სხვა სერვისების პროფესიონალებთან თანამშრომლობითი ურთიერთობების ჩამოყალიბების გზების განსაზღვრა (მაგ. სკოლა, ჯანდაცვისა და სოციალური სერვისები);

22. შეუძლია ადვოკატირება ხარისხიანი, ინკლუზიური სკოლამდელი განათლების სერვისების ჩამოყალიბებისთვის ადგილობრივ თემში; შეუძლია აქტიური ჩართულობა ადგილობრივ თემთან, ბავშვებისა და ოჯახების უფლებების პოპულარიზაციისა და დაცვისთვის.

23. შეუძლია მშობლების ან/და ადგილობრივი თემის წარმომადგენელთა ჩართულობით სხვადასხვა ტიპის ღონისძიებების დაგეგმვა.

24. ქმნის ინკლუზიურ, თანასწორობასა და სოციალური სამართლიანობის პრინციპზე დამყარებულ საგანმანათლებლო პრაქტიკას.

## IV. სწავლება, სწავლა და შეფასება

სწავლების, სწავლისა და შეფასების მეთოდები უნდა იყოს დოკუმენტირებული, მრავალფეროვანი და ეფუძნებოდეს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს. სწავლებისა და შეფასების მეთოდები უნდა შეესაბამებოდეს საგანმანათლებლო პროგრამის ზოგად მიზნებს, სწავლის შედეგებსა და კონკრეტული კურსის შინაარსობრივ და სტრუქტურულ სპეციფიკას.

სკოლამდელი განათლების პროგრამების ფარგლებში **სწავლებისა და სწავლის მეთოდები** მოიცავს შემდეგს (კომბინაცია განისაზღვრება კონკრეტული კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით): ლექცია, სემინარი, პრაქტიკული საქმიანობა, ინდივიდუალური (დამოუკიდებელი) მუშაობა, მცირე ჯგუფებში მუშაობა, კონსულტაცია, სიმულაცია, დემონსტრირება/პრეზენტაცია, სკოლამდელი ლაბორატორია, ჯგუფური და ინდივიდუალური ქოუჩინგი, შემთხვევის (ქეისების) შესწავლა, პროფესიული პრაქტიკა, პროექტზე დაფუძნებული სამუშაო.

სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე, სკოლამდელი განათლების პროგრამების უმნიშვნელოვანესი კომპონენტია პროფესიული პრაქტიკა, რომელიც მოიაზრებს პროგრამის მიმდინარეობასთან ერთად მზარდი პასუხისმგებლობით ადრეული და სკოლამდელი განათლების დაწესებულებაში პრაქტიკულ მუშაობას. დამატებით, სტუდენტების სპეციფიკური ინტერესებიდან გამომდინარე პრაქტიკის ორგანიზება შესაძლებელია სხვა თემატურად დაკავშირებულ გარემოში (მაგალითად, ადრეული ინტერვენციის სერვისები, მუზეუმები, საბავშვო ბიბლიოთეკები და სხვ.).

პროგრამის ფარგლებში სტუდენტების მიერ შეძენილი ცოდნისა და უნარების ეფექტურად **შეფასებისთვის გამოიყენება შემდეგი მეთოდები** (კომბინაცია განისაზღვრება კონკრეტული კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით):

- ვერბალური მოხსენება, პრეზენტაცია;
- პროექტი;
- ესსე და სხვა წერითი დავალებები (მაგ. კურიკულუმის მიხედვით საგანმანათლებლო გეგმის შედგენა, აქტივობების შემუშავება და სხვ.);
- სტუდენტის მიერ შექმნილი საგანმანათლებლო და განმავითარებელი რესურსი;
- რეფლექსური ჩანაწერები;
- დაკვირვების და შეფასების ჩანაწერები;
- არაფორმალური დაკვირვების ინსტრუმენტები;

- პრაქტიკის პორტფოლიო;
- პრაქტიკის კვლევის ანგარიში;
- შემთხვევის („ქეისის“) განხილვა /ანალიზი;
- შემაჯამებელი ანგარიშები;
- ინდივიდუალური გეგმები სხვადასხვა საგანმანათლებლო საჭიროებებზე;
- საჭიროებებზე დაფუძნებული პროფესიული განვითარების გეგმა.

## V. დამატებითი ინფორმაცია

კვალიფიკაციის მფლობელთა მიერ ევროპულ სტანდარტების შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით სპეციალობის კურსების მოცულობა სკოლამდელი განათლების საბაკალავრო პროგრამებში განისაზღვრება 120 ECTS კრედიტით, ან მეტით.

**პრაქტიკული სწავლება**

სკოლამდელი განათლების უმაღლესი პროგრამების პრაქტიკის/სტაჟირების კომპონენტი შეადგენს მინიმუმ 40 ECTS კრედიტს.

**წინაპირობა**

პროგრამის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი(ები) უნდა ფლობდნენ განათლების ან ფსიქოლოგიის სფეროში აკადემიური საქმიანობის (სწავლება ან/და კვლევა) მინიმუმ 3-წლიან გამოცდილებას ან დარგში მუშაობის არანაკლებ 3-წლიან გამოცდილებას.

პროგრამის განხორციელება შეუძლია როგორც შესაბამისი რაოდენობისა და კვალიფიკაციის მქონე აკადემიურ პერსონალს, ასევე სათანადო გამოცდილებისა და კომპეტენციების მქონე მოწვეულ სპეციალისტებს.

## VI. დარგობრივი მახასიათებლის შემმუშავებელი ჯგუფის წევრები

| № | სახელი, გვარი | ორგანიზაცია/დაწესებულება | თანამდებობა |
|---|---|---|---|
| 1. | **ხათუნა დოლიძე** | სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. ბავშვის განვითარების ინსტიტუტი | ასოცირებული პროფესორი ადრეული განათლების ცენტრის ხელმძღვანელი. ბავშვის განვითრების ინსტიტუტი. |
| 2. | **თამარ გაგოშიძე** | სსიპ ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | პროფესორი |

| | | | |
|---|---|---|---|
| 3. | **ნინო ციცაძე** | სსიპ- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. ბავშვის განვითარების ინსტიტუტი | ასოცირებული პროფესორი ადრეული ინტერვენციის პროგრამის ხელმძღვანელი |
| 4. | **ეკატერინე დგებუაძე** | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო | ინკლუზიური განათლების განვითარების სამმართველოს უფროსი |
| 5. | **თამარ თოლორაია** | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო | სკოლამდელი განათლების განვითარების სამმართველოს უფროსი |
| 6 | **ანა ჯანელიძე** | გაეროს ბავშვთა ფონდი | ადრეული განათლების სპეციალისტი |
| 7 | **ნათია ჯოხაძე** | გაეროს ბავშვთა ფონდი | განათლების კონსულტანტი |
| 8 | **შორენა ძამუკაშვილი** | სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი | ასოცირებული პროფესორი განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი |
| 9 | **ნინო ნახუცრუშვილი** | სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი | პროფესორი |
| 10 | **თამთა კუხალეიშვილი** | სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ბავშვის განვითარების ინსტიტუტი | ადრეული განათლების ტრენერი, მკვლევარი |
| 11 | **ნინო ჯიოჯავაძე** | სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ბავშვის განვითარების ინსტიტუტი | ადრეული განათლების ტრენერი, მკვლევარი |
| 12 | **თამარ ბაქრაძე** | სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ბავშვის განვითარების ინსტიტუტი | ადრეული განათლების ტრენერი, მკვლევარი |
| 13 | **თამარ საღინაძე** | მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. ბავშვის განვითარების ინსტიტუტი | ადრეული განათლებისკონსულტანტი |
| 14 | **ცირა ბარქაია** | World Vision International-ის ფილიალი საქართველოში სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. ბავშვის განვითარების ინსტიტუტი | ადრეულ ასაკში ბავშვის განვითარების ტექნიკური პროგრამის კოორდინატორი ადრეული განათლების ტრენერი, მკვლევარი |
| 15 | **ლია ახალაძე** | სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი | განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი |
| 16 | **ნინო ალელიშვილი** | გაეროს ბავშვთა ფონდი | ადრეული და სკოლამდელი განათლების სპეციალისტი |
| 17 | **ეთერ ღვინერია** | სსიპ ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | ასოცირებილი პროფესორი |
| 18 | **ნანა მაკარაძე** | სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი | ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ასოცირებული პროფესორი |
| 19 | **ნატო შერიზია** | სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის | ასოცირებული პროფესორი |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | სახელმწიფო უნივერსიტეტი | |
| 20 | **ნატო ქობულაძე** | სსიპ - აკაკი წერეთლის ქუთაისის უნივერსიტეტი | ასოცირებული პროფესორი |
| 21 | **იაგორ ბალანჩივაძე** | სსიპ - აკაკი წერეთლის ქუთაისის უნივერსიტეტი | ასოცირებული პროფესორი |
| 22 | **ირმა ქურდაძე** | სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი | პროფესორი |
| 23 | **თამარ შინჯიაშვილი** | სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი | ასოცირებული პროფესორი, განათლების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი |
| 24 | **ეკა გიგაშვილი** | სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი | პროფესორი |

განათლების მიმართულების უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს მიერ სკოლამდელი განათლების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის მიღების თარიღი: 14/09/2020